

თეატრი

ქვემოთა
კაბრიონი

№ 36

საყოველ-კვირთა ლიტერატურული და მსატერობითი გაზეთი.

№ 36

7 სექტემბერი

გამოიცემა ყოველ კვირათა

1886 წელსა.

ფასი გაზეთი „თეატრი“-სა
ქრთას წლით..... 5 მან. Xსსსკვარ წლით... 3 მან.
სხვა ვადით ხელის მოწერა არ მიიღება.

ხელის მოწერა მიიღება:
თბილისში რედაქც. კონტორაში ან წარუხსიეულ ქარვას.
ფოთში ბ-ნი ბესარიონ კლასდაქსთან.

ცალკე ნუმერი გაზ. „თეატრი“-სა ღირს 15 კაპ.

ასეილება: **თბილ ისში**: ხარკვიანის წიგნის მალაზიაში, შვერდოვის სააგენტო კონტორაში, ალიხანოვის პაპი-
როზის მალაზიაში, ხიდის ყურთან. **ქუთაისში** კილაძეთ წიგნის მალაზიაში და **ბათუმში** პარიკმახერ არსენასთან.

გამოგზავნილი სტუტიები, კორესპონდენციები, ლექსები და
სხვა წერილი წერილები, თუ რედაქციამ საჭიროდ დაინახა
შესწორდებიან.

გამოგზავნილი ხელთ-ნაწერები რედაქციაში ინახება მხოლოდ
ერთს თვეს. სტუტიების უკან გაგზავნას რედაქცია არ კის-
რულობს.

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს ბ-ნი წერილების ავტორთ
სტუტიები გარჩევით იყვენ დაწერილნი.

ყოველ წერილში აუცილებლად მოხსენებული უნდა იყოს ავტო-
რის სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი.

გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію газ. „ТЕАТРЪ“ Галерея быв. Арцруни № 110.

„თეატრის“ რედაქცია საყოველთაოდ უცხადებს
ამ ბ-ნი ხელის მომწერთ, რომელთაც მხოლოდ
ათხი მასეთი აქვთ შემოტანილი, კეთილ ინე-
ბან და დაუქარან დასაჩხენა 2 მან. გამოგზავ-
ნას, ათა პირველის სექტემბრიდამ არ მოეს-
პოთ გაზეთის გზავნა. ახალი ხელის მომ-
წერლებისათვის გაზეთი „თეატრი“ 1 სექ-
ტემბრიდამ წლის დამლეკამდე ღირს ორი მანეთი.

მოკლე გიოგრაფიული ცნობანი
პოლტანი
(კუძღვნი აკაკი წერეთელს)


„დიდი და გამოჩენილი კაცი ის არის, ვინც დიდს სა-
რგებლობას მოუტანს კაცობრიობას“.
გოლტერი.

არამც თუ ერთი კაცი უმეოროდ განვითარებას
ვერ შეიძლებს, არამედ არც ერთი ერი, არც ერთი

ტომი, არც ერთი ხალხი, უმეორო ტომთ ნაბიჯს
ვერ გადადგამს ისტორიულს სარბიელზედ. ჩვენს
ვერ ვიტყვი ვერაფერს ახალს, ვერაფერს შესამჩ-
ნევს, ვერაფერს საფუძელიანს, თუ ცოტათი მაინც
არგვექნება შესწავლული ყველაფერი ის, რაც ჩვენ-
მდე ყოფილა, როგორც ჩვენი, აგრეთვე უცხო ტომ-
ეროვნებისა. ეს შეურყეველი ჭეშმარიტებაა.

ჩვენი აწყო მომდინარეობს ჩვენის წარსული-
დან, ჩვენი მომავალი დამოკიდებულია ჩვენს აწყო-
ზე, მაგრამ არა მარტო ჩვენზედ — აგრეთვე სხვები-
საზედაც: ყველა ისტორიულ ხალხთა შორის არსე-
ბობს გონებითი კავშირი, რომელიც გამოიხატება მა-
თი ერთ-მეორესთან დამოკიდებულობით და თან-
ხომით სწავლა-განათლებლაში და ლიტერატუ-
რაში.

ყოველს ეპოქას და განსაკუთრებით ყოველს
შესამჩნევს, არა ჩვეულებრივს მოვლენას კაცობრიო-
ბის ცხოვრებაში, უთუოთ ჰყავს თავისი მოთავენი,
თავისი წინამძღომენი, რომელნიც ჰკუის სიღრმით



ეროვნული
ლიტერატურის
მუზეუმი

მივგვანან დეკს, რალაც ფანტასტიურ არსებით—მათი სახელი გენოზია. მე XVII საუკუნის ერთი დევთაგანი, გამოჩენილი გენიოსთაგანი და უდიდეს კაცთაგანი უთუოთ არის ვოლტერი.

ვოლტერი დაიბადა პარიზში 21 ნოემბერს 1694 წელსა. მისი მამა უბრალო მოხელე იყო. ვოლტერის და მამის შორის ხშირად უკმაყოფილება ხდებოდა. მამას უნდოდა რომ შეილი უთუოდ რაიმე სამსახურში შესულიყო, შეიღოს კი სამსახური პირივით ეჯავრებოდა და, რა თქმა უნდა, ახალ-გაზდა ვოლტერი უარზედ იდგა. მამამ ბევრის ამოც კიდობის შემდეგ თავი დაანება შეილის «მორჯულებას» და ვოლტერს მიეცა «სანატრელი» თავისუფლება. ვოლტერმა სწავლა მიიღო იეზუიტების აკადემიაში, რომელიც იმ დროს შესაფერად პირველ და უმაღლეს სასწავლებელათ ითვლებოდა. საზოგადოთ იეზუიტების სკოლები მაშინდელ შაგირდებს დიდ სწავლას აძლევდნ და საგულისხმო ის არის, რომ ყველა გამოჩენილი კაცები უთუოდ იეზუიტების სკოლებიდან გამოდიოდნ. ვოლტერი ჯერ კიდევ სულ ბავში იყო, როდესაც ერთმა იეზუიტმა რალაც ეშმაკობისათვის ასე უწინასწარმეტყველა: «უბედურო» შენ უთუოთ კატოლიკთ მოსისხლე მტერი შეიქნები!» საზოგადოთ ვოლტერს ბავშობიდანვე დაეტყო მოუსვენარი, პირვეული ხასიათი—ჯერ თორმეტის წლისა არც კი იყო, როდესაც ლექსების წერა დაიწყო, რომლებსაც მაშინათვე დაეტყო მხვილური მიმართულება—ესე იგი—სატირიკული.

პირველს გამოსვლასთანვე ცხოვრებაში და მწერლობის ასპარეზზედ—ვოლტერმა სიმწარის ფილა დალია. 1717 წელს რალაც პატარა ლექსისათვის ვოლტერი გაურჩეველად და დაუკითხველად ბასტილის ციხეში ჩასვეს. თუმცა ამ «აბანოში» დიდს ხანს არ დარჩენილა, მაგრამ ვოლტერი მეტად გრძობიერი კაცი იყო და გამოსვლის უმალ ერთი სატირიკული ლექსი დასწერა..... ჯერ ჯერობით შაში ვოლტერისათვის გაუგებარი სიტყვა იყო. 1718 წელსა 18 ნოემბერს პარიჟს სცენაზედ წარმოადგინეს ვოლტერის პირველი ნაწარმოები დრამა «ელიპი». ახალ-გაზდა ავტორის სახელმა ერთბაშად მოჰტინა მთელი პარიზი და მერე საფრანგეთიც. ვოლტერსაც ეგ უნდოდა, რადგან ბავშვობიდანვე მეტად თავმოყვარე იყო. ბევრი ახალ-გაზდა არისტოკრატებმა გაიციეს «ელიპის» ავტორი, ყველგან იწვევდნ, ყველა პატივსა სცემდა. თუმცა ვოლტერი ღარიბი იყო, მაგრამ ჩაცმა დახურვაში არავის არ ჩამოუვარდებოდა. ვოლტერის სურვილი იყო დიდ კაცობაში ყოფნა და მის

და სასიხარულოთ ადვილად მიადწოდა ღირსის ხელის დელს, თუმცა ბოლოს კარგა ძვირად დაუჯდა «დიდ-კაცობა».

ვოლტერი ყოველს დღეს არისტოკრატებს შუა ატარებდა დროებას. ერთხელ ვილაც ახალ-გაზდა მარკიზმა ჰკითხა ვოლტერს: რამ გაიძულათ რომ გვარი გამოიკვალეთო. ამ უზღელს კითხვაზედ ვოლტერმა ჩვეულებრივის თავე მომწონებოთ და ამპარტავენობით უპასუხა-მარკიზი გაჯავრდა, ვოლტერმა უფრო აბუჩად აიგდო, რაისგამოც მარკიზმა სილის გარტყმა დაუპირა. საქმე მორიგებით გათავდებოდა, მაგრამ ვოლტერმა მარკიზზედ მეტად შხამიანი სატირა დასწერა და 1726 წელსა ვოლტერი ხელ-ახლათ ჩასვეს ბასტილიაში. თუმცა აქ დიდს ხანს არ დარჩენილა, მაგრამ მართებლობამ სამხლერ გარედ გასვლა გადაუწყვიტა და ახალ-გაზდა მწერალი ნება-უნებლიედ იძულებულ იყო დამორჩილებოდა თავის ბედ-იღბალს.

აქ საჭიროდ ვხვდეთ გავაგებინოთ მკითხველს, რომ ვოლტერის ნამდვილი გვარი იყო ფრანსუა მანდი—არჟე, ხოლო შემდეგ მარი—არჟე ვოლტერზედ გადასეთა და ამ სახელით საქვეყნოთ თავი იჩინა კიდევ. საზოგადოთ მაშინდელი მწერლები ხშირად იცვლიდნ თავიანთ გვარს და ამას არამც თუ საფრანგეთში შევხვდებით, არამედ სხვა ქვეყნებშიაც. ამბობენ ვითომც ვოლტერი მამის კანონიერი შეილი არ იყოო. რამდენად მართალია ეგ ხმები ძნელი გასაგებია, თუმცა ერთს თავის ლექსში ვოლტერი ამბობს: «ჩემი ნიჭი უკანონო მხრით აპოლონისაგან არის შეთვისებულიო». ეგ აპოლონი უთუოთ პოეტი რომბრიუნი იქნება, რადგან ეგ ლამაზი პოეტი ვოლტერის დედის ძალიან ახლო ნაცნობი და მუდმივი სტუმარი იყო.

(გავრძელება.)

ვალეო-ია

თეატრის კვირა

ხელითწერილი პოეზია

თუმც არა მსურს ასე ვცხოვრობ!

(გუძლნი ვ. ლ. გ— ს.)

გინც მტანჯავს და სისხლს მიწუწნის,

მას მსუწეს მუდამ ვმორჩილებდე.

მონებას მთლად შეკეთავსე.

აღარ მინდა გბატონებდე.

ტანჯვა ზრის ჩემთვის შკება,



ქართული
ენების
სწავლის
ინსტიტუტი

მასში ვხედავ ნეტარებას:
 თვით—უფლებას ვერ ვითვისებ,
 მსურს და ვეძებ სხვის მონებას!
 რაგორც სხსნსა არსით ველი—
 აღარც მიხდა ვინმემ მიხსნას!
 ვისაც ვძულვარ, არ დამინდობს,
 იმას ვეტრფი და ის მიუყარს.

დავს შენთან ვარ, ხვალ იმასთან...
 ვინც მეტს მტანჯავს, იმას ვლოცავ,
 ჭკუენა რომ თავს დამეცეს,
 გძობას მაინც არ წავროშავ!

თუძრ არა მსურს ასე ვცხოვრობ;
 სომ არავის არა გშურის?!

— ეს ცხოვრება ადვილია,
 მო გასწავლე ვისაც გწუხრის?

ვ—ნე ქა—ძე.

გამოცანა.

ბრალდი ბრალად დანამგზავსა,
 ხელკენურად გამოტრიალი,
 აქეთ გარა, იქით გარა,
 შუაშიაც ერთი თხრილი,
 ზედ ბაღასა არ ამოდის,
 არის მსოფლდ სანახარო,
 სადაც მუდამ თავისიუფლად
 მოხსნჩქარებს ორი წყარო;
 რას შირველად გადმოსეთქავ,
 საამურად იწეებს დენას,—
 და ვინც დალკეს ვერ გადინდის
 გადასახდის იმოდენას.—

ზაუელი.

(აღსნა—გული ძუძუები და რძე.)

თეატრი და მუსიკა

Въ 1884 году.

- 27. Тамара Ватоншвили—თამარ ბატონიშვილი, დრამა ვ 5 თი ძწიწ., передѣланная съ романа Гр. Рчеулова, К. Месхи (съ исключеніями).
- 28. За Монастирскоѣ стѣной—მონასტრის ზღუდეთ შორის, დრამა ლუიჯი კამოლეთი, передѣланная съ русскаго сокращенно, для сцены, А. Цагарели.

- 29. Утро послѣ свадьбы—დილა ქორწილის შემდეგ, вод. въ одномъ дѣйствіи, соч. А. Казбека.
- 30. Маскарадъ—მსკარადი, დრამა ვ 4-ხ ძწიწ., соч. Лермонтова, перев. Г. Цинамдзგარова.
- 31. Горь отъ ума—ვაი ჰკვისაგან, ком. 4-х ძწიწ., соч. Грибоѣдова, перев. Григорія Цинамдзგარова.
- 32. Размолвка—ბუტიობა, вод. кн. Акакія Церетели.
- 33. Я хочу быть княгиней—მე მიხდა კნებნა გავხდე, ком. въ 2-хъ дѣйств., соч. Антонова.
- 34. Мужъ пяти женъ—ქმარი ხუთის ცოლისა, ком. въ -хъ дѣйств., соч. Антонова.
- 35. Развѣ? дядя женился гдѣ-то—ბიძამ ცოლ შეერთო, ком. въ 2-хъ дѣйств., соч. Антонова.
- 36. Свадьба Хевсурцевъ—ქორწილი ხევსურებისა, ком. въ 2-хъ дѣйств., соч. его же.
- 37. Затмѣніе солнца въ Грузіи—ზის დაბნელება საქართველოში, ком. въ 3-хъ дѣйств., соч. Антонова.
- 38. Корь-оглы—ქორ ოღლი, трагедія ვ 4-хъ дѣйств., соч. Антонова.
- 39. Путешествіе съ Литераторовъ на плотахъ—ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა, ком. въ 3-хъ дѣйств., соч. Антонова.
- 40. Чудакъ—ბაიუში, комедія—ფარსъ ვ 2-хъ дѣйств., соч. А. Цагарели.
- 41. Что видѣлъ того не увидишь—რაც ვინახავ ვვლარ ნახავ, ком. въ 3-хъ дѣйств., соч. Цагарели.
- 42. Судьба правдивыхъ—ბედი მართალთა, დრამა ვ 5-თი ძწიწ. соч. Григорія Церцваძე.
- 43. Король Лиръ—მევე ლირი, трагедія Шекспира, перев. кн. Ил. Чавчаваძე и кн. Ив. Мачабели.
- 44. Семья преступника—დამნაშავეს ოჯახსა, დრამა ვ 5-თი ძწიწ., соч. Джиоკომეთი.
- 45. Ангель доброты и невинности—კეთილი და უმნკო ანგელოზი, ком. въ 3-хъ дѣйств., передѣланная съ русскаго кн. Д. Г. Эристовымъ.
- 46. Хатабала—ხათაბალა, ком. въ 3-хъ дѣйств., соч. Г. Н. Сундукінца.
- 47. Обернулось веретено—დატრიალდა ჯარა, вод. пер. к. Кипიანი.
- 48. Привидѣніе—მოჩვენება, вод. соч. и Бах-

- талзе.
- 49 Бѣшеный американецъ—ბრაზიანი ამერიკელი, вод., пер. Д. Месхи.
- 50 Арсень—არსენა, драма въ 3-хъ дѣйств. соч. А. Мочхубаридзе. (Казбека)
- 51 Венеціанскій купецъ—ვენციელი ვაჭარი, драма въ 4-хъ дѣйств., соч. Шекспира, перев. Д. Кивиани.
- 52 Двѣ сиротки—ორი ობოლი ქალი, драма въ 5-ти дѣйств., 8 карт. сокращ. перв. А. Цагарели.
- 53 Парижскій кинто (мальчикъ)—პარიტელი კინტო, ком. въ 2-хъ дѣйств., перев. съ француз. кн. Д. Эристова.
- 54 Шутка съ дядюшкою—ბიძასთან გამოხუმრება, оперетка—вод. въ одномъ дѣйствіи, перед. кн. Рафаля Эристова.
- 55 У парикмахера—პარიკმახერის, вод. въ одномъ дѣйствіи, соч. кн. Рафаля Эристова.
- 56 Кварь-кваре атабекъ—ყვარყვარი ათაბეგი, драма соч. кн. Эристова.
- 57 Въ темной комнатѣ или на хлѣбъ и на воду—ბნელ ოთახში, шутка водевиль въ одномъ дѣйствіи, перев. съ русскаго *IV*.
- 58 Пепо—პეპო, ком. 3-хъ дѣйств., соч. Гаврила Сундукянца.
- 59 Разоренный домъ (семья)—დაქცეული ოჯახი, ком. въ 3-хъ дѣйств., соч. его же.
- 60 Жоржъ Дандень—ჯორჯ დანდენი, ком. въ 3-хъ действ., соч. Мольера.
- 61 Матико—მატიკო, драма въ 5-ти действ., соч. Авксентія Цагарели, (съ исключеніями).
- 62 Помѣшанная — შეშლილი, ком.—поэма, соч. Георгія Эристова, (съ исключеніями).
- 63 Шапка невидимка—უჩინ მაჩინის ქული, ком. соч. его же.
- 64 Тилимись хани или заколдованный—პრინცი თილისმის ხანი, ком. соч. его же.
- 65 Горе отъ ума—ვაი ჭკვისაგან. Нѣсколько отрывковъ, соч. Гробоѣдова перев. его же.
- 66 Доходное мѣсто—შემოსავლიანი ადგილი, ком. въ 5-ти дуйств., соч. Островскаго, перев. съ русскаго *IV*.
- 67 Заблудшія овцы—გზა დაბნეული ცხოვარნი (გზა დაკარგულნი ცხვრები) ком. въ 4-хъ дѣйств., соч. Островскаго перев. А. Джабадари.
- 68 Любовь молодой женщины—სიყვარული ახალ-გაზდა ქალისა, драма въ 3-хъ дѣйств. соч. К. Колубанскаго.
- 69 Трудовой хлѣбъ—შრომით ნაშრომნი პური, ком. въ 4-хъ дѣйств., соч. Островскаго, перев. *IV*.
- 70 Сваха—მაქანკალი, ком. въ 2-хъ дѣйств., передѣл. изъ Кація Адаміани кн. И. Чавчавадзе.
- 71 Адвокатъ Меладзе—ადვოკატი მელაძე, ком. въ 2-хъ дѣйств., перед. к. И. Мачабели.
- 72 Качагъ Како Вгачіяшвили—ყახლი კაკო ზღაკია-შვილი, драматическій эпизодъ въ 5-ти дѣйств., 7 карт., соч. Валеріана Левановича Гунія (съ исключеніями).

Въ 1885 году.

- 73 Анука Батонишвили—ახუკა ბატონიშვილი, драма въ 3-хъ дѣйств., перед. изъ повѣсти Рчеулова, Д. Месхи, (съ исключеніями).
- 74 Демонъ—დემონი, драматич. сцена изъ поэмы Лермонтова, перев. кн. Мамія Гуріели.
- 75 Эдмондъ Кинъ или Геній и бузпутство—ედმონდკინი ან სალახანობა და გენიოსობა, ком. въ 5-ти дѣйств., соч. Александра Дюма, перев. съ русскаго Валеріана Левана Гунія.
- 76 Ворожейка—მკითხივი, ком. фарсъ въ 3 дѣйств., перед. А. Цагарели.
- 77 ეხლანდელი სიყვარული (нынѣшняя любовь) комед. въ 4-хъ дѣйств. перед. В. Абашидзе.
- 78 ცოლი თუ გინდათ ეს არის! (Вотъ такъ жена!) Водевиль въ 1-мъ дѣйств. соч. В. Абашидзе-ერიდეთ ცეცხლსა(Осторожнѣе съ огнемъ-камед. въ дѣйств. перед. М. М. Сапаровой—Абашидзе.
- 80 ჯერ დედა (Прежде маменька) комед. въ дѣйств., перрв. Метисова.
- 81 ალერსთა ბაღე (въ сѣтяхъ любезностей) комед. въ 4-хъ дѣйств. перед. Н. Умикашвили.
- 82 საძაგელი (Чудовище) комед. въ 2-хъ дѣйств. перед. кн. Д. Эристовимъ.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფელეტონი:

ხალხური პოეზია

ამ ძაღლსა, მეღუში-შვილსა უჭებენ ხელსა, ფეხსა:
 ისე სმარობდა ხელ ფეხსა, ვით შავარდენი მხრებსა.
 უვარელში ჭაღსა ენუგრის წმინდა გიორგის ემსა.
 ისე წავიუყან იმ ჭაღსა, წვერსაც არ მოკეტენ სმალსა.
 უვარელში ჯარი შავიდა ფერი ცვალობის დღესა,
 ჭალი და რძალი წასსა, გადაუყენა მთებსა;
 სამი დღე-ღამე ატარა, ქაში არ აჭკრან ფეხსა,
 ერთს სსასხლეში შარკა შვიდს დღესა და ღამესა,
 ლეკებსა ეუბნებოდა მე გიბელადთ დღესა,
 საკელადში ავიყენ, შიგ ამოკარჩევ ერთსა.
 შავიდა ამარჩია... ტანი მიუგავს ლერწმსა,
 და შირის სახე მხესა; მოდი ღამაზო დაბანდი,
 ნუ მოიგონებ ძმებსა; მიჭყვანდა მოახლეობა,
 შამოუსსამდა გვერდსა, მიჭყვანდა შირის ფარეში
 დაყენებდა თავსა.—შე, ძაღლო, მეღუში-შვილო
 როგორი სიტყვის თავია, მამას გამოძიჭერ ყელი,
 ძმებსა მიტყე სმალად, როგორ არ მამაგონდება
 ჩემი ვაჟ-ვატი ქმარია, მეღუში-შვილო გაგიწერეს
 წმინდი გიორგის ჯვარია.

(შეკრებილი ლ. დოლოჯობისაგან.)

„ჩარიჩამას“ ხმაზე

ჩარი ჩამა მაგდანჯლო,
 ჩემო დამწველ-დამღაბველო.

ჩარი ჩამა გულქანა,
 თუთრ-ფუნჩულა სუქანა,
 შენმა მუკალ თვალ-წარბებმა
 ჩაატანა გულთანა.

ჩარი ჩამა ბუბია,
 აბრეშუმმა გვიღალატა—
 ბამბა მანაც ბუკრია.

ჩარი ჩამა ბიცლანა,
 ჩვენ შიმშილით ვინოცობით,
 არა გამოკვიცხვარა.

ჩარი ჩამა ბაბუა,
 ქართულ თუთუნს გერ გიშოვნი—
 მხორკამა... გაბრუნა.

(შეკრებილი სოსიოსაგან)

ამბავი ტეატრის გამო

ხმა სხვა-და-სხვა კუთხიდან

(ქ. ფოთი, 4 სექტემბერს 1886 წელს)

ფოთის ქართველ საზოგადოებაში გვირეცია რა-
 მდენიმე პირები, რომლებიც ხანდისხან მართვენ
 ხოლმე ქართულს წარმოდგენებს აქაურს კლუბში
 სხვა-და-სხვა სასწავლებლების, საზოგადოებათა და
 კერძო პირთა სასარგებლოდ. ამით ორნაირი სარ-
 გებლობა მოაქვთ: ერთი—ვის ან რისთვისაც არდ-
 გენენ და მეორე,—საზოგადოებაში თეატრის მნიშ-
 ენელობას ავრცელებენ და ესტატიურს საზრდოს
 აძლევენ იმისთანა ხალხს, რომელთაც ყოველ გვარი
 გონებრივი და ზნეობრივი გაღვიძება მეტად ეჭირვე-
 ბათ.—

ეს პატივცემული პირები მუდამ მზად იყვნენ და
 მზადაც არიან ყოველის კეთილის საქმისთვის შრომა
 გასწიონ. უადგილო არ იქნება გავაცნო მკით-
 ხველებს ხსენებული პირები. ესენი არიან ფოთის
 სასწავლებლის მასწავლებელი: ბები კ. გაბრიჭიძე,
 პ. საულიძე, პ. ინასარიძე, ა. გამყრელიძე, ვ. ჩაგუ-
 ნაეა და პ. ივზოვი; ამათთან ერთად მონაწილეობას
 ლებულობენ, რასაკვირველია, აგრეთვე ქალებიც და
 კიდევ სხვა პირებიც. ყველა ესენი კარგად თამაშო-
 ბენ და რამოდენიმე მათშორის დახელოვნებულნი
 არიან კიდევ სასცენო საქმეში. ამის გამო დიდი სა-
 სიამოვნო და სასარგებლო იქნებოდა, რომ ამ პი-
 რებს ერთი წარმოდგენა მაინც გაემართათ სცენის
 სასარგებლოდ და შემოსავლით ეყიდნათ, რაც აუცი-
 ლებელ საჭიროებას შეადგენს სცენისათვის და, თუ
 მაინც სრულის შემოსავლის გამეტება არ იქნება,
 ყოველ შემოსავლისაგან მცირედენი ნაწილი მა-
 ინც შეეწირნათ სასცენო ნივთებისათვის და ამ გვა-
 რად შესაძლებელია რამდენიმე ხნის შემდეგ პა-
 ტარა თავნი შესდგეს თეატრის ფონდისათვის და ამ
 გვარად შესაძლებელი იქნებოდა რომ ფოთში თეატ-
 რალურს საქმეს ფესვები მოჰბოდა და ნიადაგი გაემა-
 გრებინა. ეს მით უფრო საჭიროა რომ ფოთელები
 თეატრს არ ერიდებიან და სხვა უბრალო საქმის
 მაგიერ წარმოდგენებზედ ივლიან—და თუ მაინცა
 და-მაინც ნამდვილს ესტეტიკურს არა, გონებრივ
 საზრდოს მისცემდა. როგორც შევიტყე ამ ცოტას
 ხანში აპირებენ წარმოდგენის გამართვას ერთი
 ღარიბი სტუდენტისათვის იმედია რომ საზო-
 გადოება ბლომად დაესწრობა ამ საქველ-მოქმედო

განზრახვას და სწავლის საშუალებას აღმოუჩინეს ახალგაზრდა მოსწავლეს.

ამ ქამად ჩვენი სცენის მოყვარეთ მოაკლდათ ერთი ფრიად ნიჭიერი მოთამაშე ქ-ნი ელისაბედ ჭოჭუას მეუღლე. იმედია, რომ ხსენებული პირები მოიწვევენ, მით უფრო რომ შორს არ არის და არც პატივცემული ელისაბედ ჭოჭუა დაიზარებს ჩამოსვლას ამ სასარგებლო საქმისათვის.

ამ მოკლე ხანში გავაცნობ „თეატრის“ მკითხველებს ფოთის ბანკის საქმეებს და მის ავკარგობას.

ფოთელი

ხალხური გამოცანები

ველსა ჰატარას რომელსა აწვინა იარებოდა, ჰატარა უხორცელ სახითა ხორციითა ეჩვენებოდა.

ერთი რამ არის უსულო, სიბრძნეს გამოცემს მივიწინო, სახლი აქვს წლობით ნაშენი, სუროს გამოცველა უჭირსო, ამისა გამამცნობელსა მის სიბრძე აწარ უჭირსო.

სიბნელე ვნახე მეზარა, ჰქაუი ქონდა მწარები კაცისა შეშინებული ჯოჯოხეთისა მტერები ვეელანი ამის უჩივით სრულად წაგვართვა ფერები.

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

თქვენს პატივცემულ გაზეთში გამოცხადებული იყო ჩემი სურვილი, რომ სიმართლის და ჭეშმარიტებას აღსადგენად და დასაცველათ შესახებ ჩემის და ბ-თ გულისაშვილების მოქმედებისა სოფელ საგარეჯოში, ამოგვეჩრია მკოდნე და სინილისიანი კაცები, რათა მათ ადგილობრივ დაწერილებით ყოველივე გამოეციათ და ჩვენი ქართველი საზოგადოებისათვის დაენახებინათ ცხადათ, თუ ვის მხრივ არის ჭეშმარიტება და ვინ იბრძვის ხალხის კეთილ დღეობისათვის ბ-ნს გულისაშვილს დაუხანგლებია თქვენს გაზეთში დიმი. ფაველნოვი. ჩემის მხრივ ვასახლებ თ. მიხეილ მაჩაბელს. ვიმედოვნებ აქ დასახლებული პირი ინებებს იკისროს ეს საქმე და მობრძანდეს ს. საგარეჯოში სეკცემბერს.

ამასთანავე საპიროთ ვრაცხ მოვასენებ მოგადობას, რომ აქამომდე ამ ზაფხულს ვცნობობდი არა საგარეჯოს და ამისათვის გაზეთის შემწეობით ვერ დავასახელებ შემომხსენებული მედიატორე მაშინვე, როდესაც ბ-ნი გულისაშვილს დაუხანგლებია თავის მხრივ თ. ფაველნოვი.

1886 წ. სექტემბრის 2.

ა. ცხველაძე

თეატრის კვირა

× მკითხველებს ესმოდათ ჩვენის გაზეთიდან, რომ ამერიკელებმა გამოჩინილი საფრანგეთის არტისტი ქალი სარა ბენარი დაატუსაღეს ერთის რადჯ უსრდეული საქციელისათვის. ესლა ვი აქაურ გაზეთებში სწერია, რომ სარა ბენარი თავისუფალია და ქ. სან-პალოლოში ისეთის აღტაცებით აეო მიღებული წამოდგენის შემდეგ, რომ მთელი ქალაქი, ვეელა ქუჩები, ვეელა სახლები სულ ერთიანად განათებული აეო სხვა-და-სხვა ფეროვან ტერცლებით და ჩირადღებულთაო, თითქმის რამე ერთეული დღეობა ყოფილიყო. მხოლოდ ამერიკა და ამერიკელები არიან ისეთნი, რომელნიც ერთი და იმავე დროს ვეროვანი განკიცხვაც იციან და პატივისცემაც.

× სწარული ამბავი მომხდარა ამ დღეებში ქაიარში რაშერის სტენაზედ. თურმე არდკენდენ ვერდის რაშერას: „ბაღი მასკებით“. გამოჩენილი მომღერალი ბარატონი ტლამანკა სხვათა შორის რენატის როლს თამაშობდა თურმე. მესამე მოქმედების დაწყების დროს ხალხს რადჯ სმაურობა და მადლი დაპარაკი მოესმა სტენიდან, კიდევ წოთი, გამოვიდა ტლამანკა და დაიწყო თავისი საუცხოო სიმღერა, მაგრამ სმა თან-და-თან უხედეობდა და ბოლოს სრულებით წაიქცა სტენაზედ... მივარდნენ მამინათვე და დაინახეს, რომ არტისტს კვარდში სისხლი უჩანდა. თურმე ტლამანკას ვიდაც არტისტისათვის „მწარე სიტყვა“ უთქვამს, რის გამო ამ უკანასკნელს ხანჯალი დაუცია ტლამანკასათვის, და რადგან ტლამანკა გაჯვარებული ყოფილიყო არც ვი უგრძობა ჭრილობა. წამოდგენა გადადევს. ხანჯლის დამკვერელი მამინათვე გაქრულა.

× აი კიდევ ერთი შემადწუნებელი ამბავი: ქ. რველში იყვნენ თურმე ორნი მძანი ალექსანდრე და იული იანხები. ორივე მძანს შეჯვარებათ ერთი ასალგაზრდა ქალი, მაგრამ უმცროსს იულის უფრო დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ქალზე და ქალსაც ჰქვარება დიდად; სოლო უფროსი ალექსანდრე ჩასცილება უნცროს მძანს. ამ უკანასკნელს ბეერი უთხოვია მძისათვის: ნუ მეცილები, თავი დაგვანებე, ბედნიერებას ნუ მიშლიო, მაგრამ ალექს



სანდრეს სიცილადაც არ ჰყოფნია „ბავშვის“ სიტყვები. (იული თურმე 16 წლის იყო) ერთხელ საღამოს როცა ალექსანდრე შინ ბარუნდებოდა გზაზე დაუხვდა იული და ისეთის ძალით და სისწრაფით დასტა მძის გულში ხანჯალი, რომ უბედური იქვე მომკვდარა და კრინტიც არ ამოუღია. როცა იული შინ დაბრუნებულა დედის უკითხავს: მძა სად არისო?

— მე რა ვიცი სად იქნება, სადმე ქალებს ეკურ-გურება ალბათო, მიუგია მძას. მეორე დღეს როცა ანატოლიურ კაბინეტში ექიმები სტრადენ ალექსანდრეს იულიც დასწრებას და აქ თურმე შოლიციას დაუჭერია. იული უარზე დგასო და მძის მკვლელობას მისივე ამხანაგებს აბრალებსო... საშინელი შედეგი იცის შირკვლად ალგზნებულმა სიყვარულმა თუკი გონება არ მისდევს მძას.

× გამომჩენილი ექიმი სუკვი კიდევ აკვირებს იტალიელებს თავის მოგონებით. სუკვიმ შეადგინა ისეთი ელექსირი, რომლის საშუალებით კაცს თურმე შეუძლიან უჭმელათ გასძლეს 45 დღის განმავლობაში. სუკვიმ თვითონ გასინჯა ამ ელექსირის თვისება თავის თავზე და 45 დღეში ლუკმა არ შეუჭამია. თურმე რომელიმე ექიმებია დაუენებელი სუკვის დარჯჯად, რომელნიც რიგ-რიგზედ თვალეურს ადგებენ სუკვის, რომ არათური შესჭამოსო. სუკვი მხოლოდ წყალს თხოულობს და ისიც სამს სტაქანს დღეში. იქნება მეტნიერებამ ისიც მოგონოს, რომ ადამიანს საჭმელი არ დასჭირდეს?.


ბიბლიოგრაფია

* * * ქართული მწერლობა ვერ დაიკვებს უცხო საკლასიკო მწერლობის თარგმანებს და თუ ორიოდ უცხოეთის თხზულებანი გვაქვს ისინი ვერ აღწევენ თავიანთ დანიშნულებას, რადგან არა პირდაპირ ორიგინალებიდან არიან თარგმნილნი, არამედ თარგმანებიდან და ისიც რა ნაირი თარგმანებიდან—მხოლოდ ალანმა იცის. ამიტომ საკვირველი არ არის, რომ ყოველ კუთხეში გაიძახიან უცხო, გამოჩენილი, საკლასიკო თხზულებანის თარგმანები არა გვაქვს გვეჭირვებაო დახვება. ეს ჩივილი საფუძვლიანი და საყურადღებოც ბევრნი იმის მაგიერ რომ თარგმნებს შესდგომოდათ, რალაც თავიანთ თხზულებებს „იგონებენ“ და ასე დროს დაკარგვასთან უნაყოფო შრომის სიყვარულით უგემო და უაზრო თხზულებებით ამსებენ ჩვენს მწერლობას. ამიტომ ჩვენ განზრახვა გვქონდა დრო გამოშვებით მაინც გავგეცნო მკითხველებისათვის საკლასიკო თხზულებანი, მაგრამ ღირსიანი და ჯერო-

ვანი თარგმნების უქონლობის გამო დღემდე ვეღარ მოვახერხეთ განზრახვისათვის ხორცი შეგვესხა. ხოლო დღეს საშუალობა აღმოგვიჩნდა და კიდევ შეუდექით სურვილის განხორციელებას; თავადი ივანე მაჩაბელს თურმე ამ ექვსის თუ შვილის წლის წინეთ გადუთარგმნია პირდაპირ ინგლისურადამ „ჰამლეტი“, შექსპირისა და ეს თარგმანი პატივცემულ ავტორმა თავაზიანად დაგვითმო, რომელსაც ამ ნუმერშივე ვებუქდავთ. ჩვენ ვაპირებთ აგრეთვე ჰამლეტის ცალკე წიგნებად გამოცემას.

კვირიდან კვირამდე

* * * წარსულს კვირას «იტალიის» ბაღში დიდ ძალი ხალხი იყო მოგროვილი. იტალიის ბაღი ჩვენი ქალაქისათვის წარმოადგენს იმასვე, რაც რომაელთა ბისათვის წარმოადგენდა გლადიატორთა ამფიტეატრი. კვირა ისე არ გაივლის, რომ იტალიაში ჭიდაობა გამართული არ იყოს. წარსული კვირის ჭიდაობა დიდს ინტერესს წარმოადგენდა ფიზიკური ღონის მოყვარეთათვის. სახელ განთქმული კულა გლდანელი უნდა დასჭიდებოდა ახალგაზდას, არა გლდანელზედ ნაკლებად იმერეთში სახელ განთქმულს მეგრელს ნესტორ ესებუას. გლდანელს და ესებუას ამ ერთის წლის წინეთ უკვე უჭიდავნიათ ბათუმში, მაგრამ დამარცხებულად თავი არც ერთს და არც მეორეს არ უტენია. ეს გარემოება მით რფრო საინტერესოდ ხდიდა კვირანდელს ჭიდაობას. საღამოს ხუთი საათი იყო, როცა გამოვიდნენ ორი მოწინააღმდეგე მოჭიდავენი—ორივე მშვენიერი ტანადი, მხნე და მამაცი, მაყურებელს სიამოვნებით ევსებოდა გული. გლდანელმა სამჯერ ზურგული უყო ესებუას და თითქმის წაქცეულიც ყვანდა, მაგრამ ცქეტი და მარჯვე მეგრელი მაშინვე ფეხებზედ წამოდგა და ხელ-ახლად შეეჯახნენ, მეორედ მოგვერდი უყო გლდანელმა, მაგრამ ესებუა ისევ ფეხზედ იდგა, მესამედაც თითქოს წაქცია გლდანელმა, მაგრამ აქაც კატასავით წამოხტა ესებუა, ჰკრა ხელი გლდანელს და ერთს წუთს პირაღმა გადააქცია, გლდანელსაც უნდოდა ესებუასავით ზეზე წიმოდგომა, მაგრამ გაუძნელდა, ესებუამ მძიმედ დასცა. მივარდა ხალხი და გააშველეს. ატყდა ყაყანი, მომეტებული პირუთენელი ამბობდნენ, რომ ესებუამ გაიმარჯვებო, ზოგნი კი ამბობდნენ გლდანელმა აჯობაო. რაც უნდა იყოს ნესტორ ესებუა კარგი მოჭიდავეა და ამასთანავე პატიოსანიც, არც ფეხებზედ ხელების წავლა, არც სხვა რამ ეშმაკობა არ იცის და არც უნდა რომ იცოდეს. გლდა-



ნელი კი ამით ვერ დაიკვეხს... ჩვენ ბევრი მაგალითები ვიცით, როდესაც გლდანელს არა საპატივ-ბელი ეშმაკობით, სათვალწუნო საქციელით გამარჯვებული გამოსულა ხოლმე. შესამჩნევია აგრეთვე დაბალი ხალხის აღტაცება «ძლივს» ძლივს, ამბობდნენ ისინი. აქ უადგილო არ იქნება დაგებულთ ერთი ლექსი, რომელიც ვილაც კირვალისგან შეუთხზავს ამ ქიდაობის გამო.

კულა გლდანელის და ნესტორ ესებუას ჭიდაობა

ოცდა თერთმეტს აგვისტოსა
ხალხი მიდის ბალშიაო,—
იძახიან ესებუას
შეუძლია მკლავშიაო.

თფილ ქალაქში ერთი გეყავდა
სახელ განთქმული გლდანელი,
იმერელმა წააქცია,

დავრჩით პირ დაუბანელი.
პირველად ზურნა დაუკრეს,
კულა ვადის შევლივითა;
მაგრამ ჩენი ესებუა
გამოხტოდა მწყერივითა.
ნესტორი ლეკურს თამაშობს,
შემდეგ ჩერდება შუაზე,
დაბლა წყველას თავსა უკრავს,
მერე იწევა კულაზე...

ყველას უძგერს გული მკერდში:
ნეტა ვინ ვის წააქცევსო,
სირცხვილს ვინ სკამს, ვინ იხარებს.
ვინ აღიდებს თავის ერსო?
ჰა, მივარდნენ ერთმანეთსა,
შიშით შივიძრა ყველაო.
გაჰკრეს სარმა, ზურგულებიც...
ფერზედ იცვლება კულაო;

ერთი კიდე: და გათავდა,
მაგრამ, თქვენს მტერს რა ვნახეთო:
კულა მიწას გაიშლართა,
აბა, ურა შესძახეთო.

კროები გაიძახიან:
ბიკო სირცხვილ არ ვკამოთო:
იმერელმა რომ გვაჯობა:
ესლა რალათ ვიცოცხლოთო.

მაგრამ მისთანა თქვენს მტერსა,
ხალხმა დასძახა „ურაო“,
ამ ჩვენ ესებუამა
ქვეშ ამოიგდო კულაო!

«მეატრის» ფოსტა.

დაბა ყვირილში ბ—ნს თ. ხუსკივაძეს თქვენი წერილები მივიღეთ, დიდთ გმადლობთ, თავის დროზედ, რაც გამოდგება, დაიბეჭდება.

სიღნაღში, კელისციხეს. თქვენი მოთხოვნა მივიღეთ და იბეჭდა.—

ხონში ბ—ნს ს. ჭიჭინაძეს ჩვენ არ გვესმის, რომელ პირობაზე ბრძანებთ. ჩვენ, თუ შესიერება არ გვალაუბოს, თქვენთვის არავითარი პირობა არ მოგვიცია. ადრესი მინც შეგვატყობინეთ თქვენი, რომ თხოვნა ავისრულეთ.

სურამში ს. ს. ს. გაზეთი „თეატრი“ სეკტემბრიდამ წლის დამლევაამდე 2 მანეთი ღირს.

საშურში ბ—ნს ტ—ნს. თქვენ კიდე ერთი მანეთი უნდა გამოგზავნოთ. მართალია გაზეთი „თეატრი“ ღირს 2 მან წელიწადში, ხოლო როცა ამ ფულს ეთობა შთ შემოიტანენ ხოლმე, ვინც 3 მან. შემოიტანს იმას კიდეც სამი მანეთი გამოყრთმევის წლის მეორე ნახევარისათვის და რომელთაც ორ-ორ მანეთი შემოაქვთ, იმათაც გაზეთი ექვსი მანეთად უფდება. აქ გვონებთ გუგუბარი არაფერი არ არის რა.—

ქარელში. ბ—ნს ფანასკენტელს. თქვენი ლექსები მივიღეთ, მაგრამ დასაბეჭდათ არ გამოდგება,

ხონში ბ—ნს წერეთელს. (წიგნის მალაზიაში). თქვენი პასუხი მივიღეთ, ნუ დაიხარებთ და რაც გასასყიდათ გქონდათ გამოგზავნილი და არ გაყიდულა უკან დაგვიბრუნეთ.

რედაქტორ-გამომცემლის მაკერეი ვალერისან გუნის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი
თილისის საძალაჲო ბაზგეობა

ამით საყოველთაოდ აუწყებს, რომ ამა სეკტემბრის 4-იდან ეოველ დღეობით დილის 9. საათიდან 2 სათამდე შეიძლება ნახონ სია ქალაქის ამომრჩეველებსა მოძოვალ ოთხი წლის ვადაზე 1887—1890 წლამდე. იმ პირთ, რომელნიც შეცდომით არიან შეტანილნი სიაში, ან სრულებით არ არიან დაწერილნი, შეუძლიანთ თხოვნით მიჭმართონ გამკეობას ამა სეკტემბრის 7—21-მდე. თხოვნა თავის დროზე მოხსენებული იქნება საბჭოს წინაშე. გამკეობის წევრი სო ს რო ვ ე ი (3—1.)

საკვირაო რეპერტუარი რუსულ ოპერისა.

7 სეკტემბრიდამ	13 სეკტემბრამდე.
კეირა.	7 სეკტემბერს.
ფრშა.	8 ,,
სამშა.	9 ,,
ათშა.	10 ,,
ხუთშა.	11 ,,
პარასკეი	12 ,,

დადგეობის ფასი ჩვეულებრივი. დასაწყისი 8 საათზედ.